


ნათელა მაღლაკელიძე, ნანა ღონღაძე, თანია ცხაღანია,  
თამარ ღონღაძე, დარეჯან კვანჭიანი

# ქართული ენა და ლიტერატურა

# 11



მოსწავლის ნიშანი



## ბოზჩა (ალექსანდრა ჭავჭავაძის)

მოქურუხებულ ცას ტალღებად აჩნდა ღრუბლები. მკრთალი მზე ანათებდა შაჰ-დალის ქედს ზემოთ, ძლივს ატანდა ხეობაში ჩამონოლილ ნისლეტს.

ყარაბალულ ბედაურზე ამხედრებული მხედარი მიაჭენებდა მთის უგზო ფერდებზე. ცხენის აღლოს მიჰყვებოდა, მიდიოდა, მაგრამ არ იცოდა სად.

სადავე მოქაჩა, ქარაფებს მიაგდო ცხენი, მწვანე კორომებით დაფარულ ხევს გად-მოხედა. ქვევით მდინარე მოარღვევდა უფსკრულებს, მაგრამ სქელი ნისლი ფარავდა და მისი ხმაური ძლივს აღწევდა.

შორს მოჩანდა კავკასიონი, ორ ზღვას შუა გოლიათად განოლილი, მთაზე დამდ-გარი მთების ზურგით მზიდველი. ყინულოვანი მწვერვალებიდან მოსქდა ათასნოვანი თოვლისგან შეკრული ზეავი. ყინულ-ლოდთა ბორცვებმა დაქანებულ ფერდებზე იწყო სრიალი. ცას წვდებოდა თოვლის მტკერი.

შავჩოხოსან მხედარს შავი ნაბადი ნამოეგდო მხრებზე.

უნყალო სენად გადაექცა ახალდროება. ჩრდილოეთიდან, კავკასს გაღმა მონაქროლ-მა ცივმა ქარებმა გააუდაბურეს სავანენი, არ დატოვეს ემყის ნალკოტებში სახემტკბარი ვარდები. შეუნყალებელ ცეცხლის აღში ჩავარდა ღვთით ბოძებული პატარა სამოთხე.

ყოვლთ მანყენი გველი შემოეპარა ედემის ბაღებს, მოაშთო მსუბუქფრთოვანი ვარდები. მთიებთაგან დამორებით სუსტქმნილი ბულბულები აღარ ეკარებთან მარადიული ზამ-თრით დამზრალ, უშლელ ვარდებს.

„წყეულ არს ის დრო, როს სამკვიდრო დაეკარგეთ კრუნღი!“ – ფიქრობდა იგი და ჭირთ მწველთა განსაქარებლად მიელტვოდა მდელოთა სუნსა, მოსასურნსა.

მიაგელვებდა შავ ბედაურს უფსკრულების პირას დამრეცილ ბილიკებზე იბერი-ელთა ძველი, ჭეშმარიტი დანაშთი. მთიები მიინედა მოღუშულ ცაზე, როგორც ციკ-ლოპური თვალი, მენამული მელნის უძირო ტბა. ავდრის საგუბელი ბნელი ღრუბლები გადაფაროდნენ მარავანდის მფენ მზეს, თითქოს ნამწამებია, ჰინდოთა ურიცხვი ჯარი.

აქედან შორს იყო უმეფო, პატივახდილი ტფილისი, მთავარმართებლის სვეტებო-ანი სასახლე, პასკევიჩის მიერ მონათლული ერევანსკის მოედანი თუ რუსების ჯარით გაძეილი არსენალი. გამოექცა ჩაბალახადილ, დაჩოქებულ, შიშიან ჟამს და "სიყვარ-ულით მტკბარი" ფეერიული ზმანებების სამყაროს მიაშურა. ქავთაგან თავისუფალი ვარდ-ბულბულიანი ედემი ან მხოლოდ ოცნებაში შეიძლება იხილოს.

თავი მოსტაცეს ფერდაკარგულმა ლანდებმა და მწირ თვალებს ისევ მოეახლნენ დროით დათრგუნვილი „ძველი ხილვები“. ისევ დაიჭროლა წარსული სიცოცხლის ნიავმა და ჭმუნვის ლახვრით გულ-პობილს გარდასულ აჩრდილთა ხსოვნით სიტკბო განუახლა.



თავი მოსტაცეს ფერდაკარგულმა ლანდებმა და მწირ თვალებს ისევ მოეახლნენ დროით დათრგუნვილი „ძველი ხილვები“. ისევ დაიჭროლა წარსული სიცოცხლის ნიავმა და ჭმუნვის ლახვრით გულ-პოზილს გარდასულ აჩრდილთა ხსოვნით სიტკბო განუახლა.

გზა ქვევით იწვედა. მშვენიერი სანახები იშლებოდა თვალ-სანიერზე. ფართოფოთ-ლოვანი მუხნარი გადართა და მთებს შორის მომწყვდეულ გამლილ ხეობას მიადგა.

შაჰდალის და გეგამის ქედებს შორის ლივლივებდა გოგჩის ვრცელი ტბა. მისი აღქა-ფებული ტალღები ზღვასავით გამოსცემდნენ ხმას. აცერებული კლდიდან გადმოხედა ტბის თავანკარა ზედაპირს. უწყინარი სიერციტ მოინუსხა, გაირინდა მეფური დიდებ-ულების შემყურემ.

ტბის სარკისებრ მკერდზე ირეკლებოდა ცისა ლაქვარდი და მწვანით მოსილი ხეო-ბა. შეუცნობად კაემანს მოეცვა უშფოთველად განოლილი ტბა.

კლდის ქიმზე სამეფო პალატთა ნანგრევები იდგნენ. უხორცო, ჩონჩხადქცეული გვამებივით გადმოჰყურებდნენ ჩამუქებულ ტბას. სევდა და დიდებულება ერთად დასტ-ყობოდა ნასასახლარ ნაშთებს, ხავსგადაკრულ ლოდებს, ძაძით მოსილ ნაქცევებს, ჩაშავებულ ქვებს.

საკვირველი არქიტექტურის ჩანდა ეს ნაგებობა. ცხადი იყო, ძლიერების ჟამს აქ ჰყვავდა ქალაქი ვრცელი, ციხე-დარბაზებითა და მდიდრად წყობილი სავაჭროებით. ქარანები დადიოდნენ უშორესი გზებიდან. მომგებლობის ხელოვანნი არათუ ვერცხ-ლით, ნდობითაც იყვნენ განთქმულნი დიდვაჭართა შორის. აქ იმართებოდა ტაიჭთა სრბოლა, ასპარეზობა, ჭაბუკ მხედრების გამოსაცდელად ჩოგნით ტაცება, შუბთა ტრი-ალი, ჯირითთა ტყორცნა და ისართ სროლა.

ახლა კი, ყველაფერი ეს ტკბილი მოგონებაა და გარდასული დიდების მოწმედ მხ-ოლოდ უტყვი ნანგრევებილა დარჩნენ. ჟამთა უკულმა სელას გაეუდაბურებინა, ოდენ ბუთა თავშესაფარ ადგილად ექცია.

ტაძრის მორღვეულ კედლებს შორის ხეებს გაენვდინათ ტოტები. ყვავები შესეოდ-ნენ ჩაბნელებულ ხეთა წვეროკინებს. ყრანტალით ბოინობდნენ ნანგრევებზე. მაღალი ბალახით დაფარულიყო ქვის აცვენილი იატაკი. სუროს მოეცვა ნახევრადჩამომლილი საკურთხევის მხარე. დახეთქილ კამარებზე ღამურებს დაედოთ ბინა.

იყო დროება, როცა აქ მეფენი მოწინებით იდრეკდნენ მუხლებს და ღვთის დიდებას აღავლენდნენ. ტკბილი ხმანი ფსალმუნთა გრგვინავდა ცისა მიმართ.

დღეს ეს ნაქცევი ტაძარი თავშესაფარია მხოლოდ პირუტყვთა, ნადირთა, მხეცთა. ზოგჯერ გზადმიმავალი მეჯოგე აქ შეაფარებს შორით მოყვანილ საქონელს.

მზე დასალიერისკენ იწურებოდა. ღამე ჩამონვა. ვარსკვლავებმა იწყეს ციმციმი ფერმკრთალ ცის ტატნობზე. მათათა მწვერვალებიდან მთვარე ამოცურდა და ჭირისუ-ფალივით დაადგა სამყაროს, შუქნი ნელნი მოჰფინა მიდამოს. ჩასთვლიმა ბუნებამ და ამ მკვდარ ძილს ტბაზე მორონინე ჭაღლების მსუბუქი რხევა აკრთობდა მხოლოდ.

ციცაბოდ დაეშვა ტბისკენ. ცხენი დასალევედ მიუშვა. პეშვით აილო ცივი წყალი,

სახე გაიგრილა. სასოებით ჩააცქერდა ვერცხლისფრად მოციმციმე ტბის ზედაპირს. სამეფო პალატა ნანგრევნი ნარცისივით იჭვრიტბოდნენ წყალში.

ისევ მოეძალა სევდა. სწორედ ახლა მთელი სიცხადით იგრძნო, თუ როგორ მიეჭანებოდა უფსკრულისაკენ ნარსული დიდების ბოლო ნაშთი. ნალვლიანად გააქწია თავი. თვალს ვერ უსწორებდა ნანგრევთა მზერას მწუხრის იისფერი ტბის სარკეზე. ასე ეჩვენა, რალაც სამინელ საიდუმლოს ფარავსო ტბაზე გაკრული ლანდი ჩამოქცეულ პალატათა.

ღრუბლები გროვდებოდნენ ტბის თავზე. აგროუბუნდა ცა. ნათელმა გაჰკვეთა ბინდი ატყდა ქექა-ქუხილი.

ჩრდილოეთის ველური ტრამალებიდან მოვარდა მსუსხავი, ცოფიანი ქარი და პირსისხლიანი ძალღვივით ეძგერა ძველთუძველეს პალატებს.

თითქოს რალაც მძიმედ ჩამოიქცაო უმრუმესი ციდან, ნგრევის ხმა გაისმა. ლამურები გამოფრინდნენ თალებიდან, ბნელში იწყეს რიალი.

მეტორტმანდა კამარა, შეირყნენ თავნაჭრილი სვეტები, გაიბზარა დავარდნილი კედლები. ჩამოინგრა საძირკველმოშლილი გუმბათი.

თავბრუდამხვევი მშუილით ტბაში ცვიოდნენ, იძირებოდნენ ნანგრევები.

თითქოს კოშმარული სიზმრიდან გამოერკვა, დამფრთხალ ცხენს დაჰკივლა მხედარმა და გველნაკბენივით გაეცალა ხახადაღებულ, ყოველთამყლაპავ ტბას.

თხემზე ავარდა. თავი წაართვა ბორგნულ ქარს და უკანასკნელად გადმოხედა გოგჩის აქუხებულ მიდამოს. მშუშხავ გრიგალს უკვე მოეტიტვლებინა ნანგრევთა ადგილი, მრუმე წყლის მორევს შთაენთქა სამეფო პალატა უკანასკნელი ნაშთი.

- რამ შთააგონა ავტორს ამ თხზულების დანერა?
- როგორ ფიქრობთ, აღწევს ავტორი, რომ აღ. ჭავნავაძის ფიქრები, მისი განცდები დამაჯერებლად გადმოსცეს?
- მოძებნეთ თხზულებაში ადგილები, რომლებშიც რეალური ფაქტებია მოცემული და ნაიკითხეთ. დააკვირდით რით განსხვავდება მათი აღწერა საისტორიო თხრობისაგან.
- რა დამატებით ინფორმაციას და განცდას იტევს თენგიზ ვერულავას თხზულება ლექსთან შედარებით? იმსჯელეთ.
- როგორ გააცოცხლა ავტორმა ერთი ლექსის შექმნის ისტორია? იმსჯელეთ.

### დავალება №1

თქვენ თენგიზ ვერულავას თხზულებაში შეგხვდათ სიტყვები (ლექსიკური ერთეულები), რომლებსაც ნაკლებად ვხმარობთ მეტყველებაში, მაგრამ მათი გამოყენება ამდიდრებს მხატვრულ ლიტერატურას.

- ამონერეთ ყოველი თქვენთვის უცნობი სიტყვა და შეადგინეთ ლექსიკონი (დავლების შესრულებისას გამოიყენეთ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი არნოლდ ჩიქობავას რედაქციით. თბ. 1986. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I-II ტ. თბ. 1990. ასევე ინტერნეტში განთავსებული ლექსიკონები).
- აღნიშნული თხზულებიდან ამოიწერეთ მხატვრული ხერხები. გაიხსენეთ მათი რაობა და განსაზღვრეთ მათი ფუნქცია.



აირჩიეთ თქვენი საყვარელი რომელიმე ლექსი (შეგიძლიათ რჩევა პკითხოთ მასწავლებელსაც) და **დანერეთ მხატვრული ესე „ერთი ლექსის შექმნის ისტორია.“** შეგიძლიათ შეურჩიოთ სხვა სათაური.